წელიწადი მე-2 — ტელეფონი № 76. — კვირა 26 ივნისი

# სამშობლო

№ 390

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ შაბათს, 25 ივნისს, დღის 12 საათზე გადაიცვალა ფოთის ვაჭარი

## კონსტანტინე იაგორის ძე რუხაძე,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ მეუღლე მისი ეფროსინე ილარიონ ლოლობერიძის ასული რუხაძისა და შვილი: შალვა.
მიცვალებულს ქუთაისის სადგურზე ფოთში წასასვენებლად გამოასვენებენ დღეს, 26 ივნისს, ნაშუადღევის 2½ საათზე, ჰავჰავაძის ქუჩა, სახლი პეტრე რუხაძისა.

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 23 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი**, მიმდინარე ამბები

## არზრუმის აღების ერთი ეპიზოდი

**ანუ № ს პოლკის ჯარის კაცის, ლიზავეტა ბაშკიროვის ქალის გმირობა.**

დრამა ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

## სიყვარული ცუღლუტია.

მხიარული კომედია 3 ნაწილად მალოროსთა ცნობილ მსახიობის ლეშჩინსკის მონაწილეობით.

**ანონსი**: ორშაბათიდან, 27 ივნისიდან ნაჩვენები იქნება **ცხოვრება წუთიერია, ხელოვნება—უკვდავი**. ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 4 ნაწილად, მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსახიობნი: მოზჟუხინი და პანოვისა.
**ხუმრობით სიყვარული**. კომიკური. გომონის ფაბრიკისა.

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 23 ივნისიდან: ახალი პროგრამა. **პატე ჟურნალი**. მიმდინარე ამბები.

## სიყვარული ხუნდთა პრინცესასი

ძლიერი დრამა 3 დიდ განყოფილებათ. ცირკში მოთამაშეთა ცხოვრებიდან. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

## განა ეს ქალია! კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან 27 ივნისიდან ნაჩვენები იქნება **ალმასის ნათლული**. თანამედროვე დრამა 3 ნაწილად ამბროზიოს სტუდის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **გომონის ქრონიკა** მიმდინარე ამბები. **ფეხშიშველა „სიყვარული**. მონაწილეობას ღებულობენ პანოვისა, ლაზაროვისა, მურომსკისა და ლენინისა. სურათს დასდგამს ბ. ნ. სვეტლოვისა.

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

## ამზადებს მოწაფეებს

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა.

პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 4—1

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ვეილიშოვის მაღაზიის პირდაპირ.

## დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.
2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი**. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. **ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **და ბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. **„სამშობლოს“** რედაქც.

დ. ლაილაში.

## კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

ბორჯომში

**ექიმი** სიმონ **ხეჩინოვი** 25 ივანობისთვიდან 25 მარიობისთვემდე მიიღებს ავათმყოფებს **ბორჯომში** (საყდრის ქუჩა № 98).

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 23 ივნისი. პოლესიეს სამხრეთით ასპარეზზე ჩვენ დიდი წარმატება ვნახეთ. კონკტიუხოვკასთან ერთი ბატარეია და ტყვები მთლიანად ჩავიგდეთ ხელში. აქვე დავატყვევეთ 22 აფიცერი 35 ჯარის კაცი. რაზნიჩის (სტირზეა კოლკის ჩრდილოეთით) ჩრდილო-დასავლეთით გუშინ ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი 3 ტყვიისმფრქვეველი და 2300 მეტი ტყვე. გრუზიატინის ჩრდილო-აღმოსავლეთით დავიპყრეთ მტრის თხრილები, ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიისმფრქვეველი და დავატყვევეთ 300 მეტი კაცი. მდ სტირსა და სტოხოდის შუა (კოლკის დასავლეთით) მტერი არტილერიის ცეცხლს ანვითარებდა და რამდენჯერმე კონტრიერიშების მოტანას ლამობდა, მაგრამ უშედეგოთ. გალიციაში დიდი საარტილერიო მომზადების შემდეგ სამხრეთ სტრიპის დასავლეთით და მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე ენერგიული შეტევა დავიწყეთ.

მტერი ვსძლიეთ და უკან დაიხია. ჩვენ დაუახლოვდით ტოროპეცს და სუხოდალს (მდ. დნესტრის ტოტებია). აქ გუშინ დავატყვევეთ 5 ათას კაცამდე და ხელთ ვიგდეთ 11 ტყვიისმფრქვეველი. ჩვენ მოგვიკლეს გენერალურ შტაბის კაპიტანი ბოგოლიუბსკი. როცა ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა სოფ. ვერტნიკზე (მონასტერჟისკას აღმოსავლეთითაა), გერმანელებმა მდუღარე სითხე გადმოასხეს, ამიტომ აიღო სოფელი თუ არა ჩვენმა ჯარმა, გერმანელები ამოსწყვიტა. ჩვენ დავატყვევეთ 1000 ზე მეტი კაცი. ერთ ადგილას მტერმა უკან დაიხია. მამაცმა ყირიმელმა თათრებმა ცხენდაცხენ შეუტიეს მტერს და გააქციეს. ოცმა მამაცმა ყაზახმა მდ. დნესტრი გასცურა დოლინთან და დაატყვევეს .. რიგის ასპარეზზე გერმანელებმა კონტრიერიშები მოიტანეს იმ პოზიციების წინააღმდეგ, რომლებიც გუშინ მათ წავართვით. ჩვენმა ჯარმა ტყვეები წამოიყვანა, მტრის იარაღი წამოიღო და თავის პოზიციებს დაუბრუნდა. არტილერიის ძლიერი ცეცხლი გრძელდება.

მდ. სტირზე დაბა კოლკის სამხრეთით ბრძოლები გრძელდება; აქ 21 და 22 ივნისის განმავლობაში ჩვენ დავატყვევეთ 300 აფიცერი და 7415 ჯარის კაცი უვნებელი და მრავალი დაჭრილი; დავლათ დაგვრჩა: 5 ზარბაზანი, 23 ტყვიისმფრქვეველი რამდენიმე ათასი თოფი, 2 პროჟექტორი, 11 ტყვიისმტყორცნელი და 77 ტყვია-წამალის ყუთი. გრუზიატინთან გერმანელთა გაავთრებული იერიშები მოვიგერიეთ. მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მედგარი ბრძოლაა. შივანოვთან და ხაცი მირზასთან პოლესიეს ჩრდილოეთ ასპარეზზე სროლა გაცხოველდა ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მტერმა რამდენჯერმე კონტრ-იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე გაუჩინა მძიმე და სუბუქ არტილერიის ქარიშხალისებური ცეცხლი დ. ლაბაზისს ამ ცეცხლის დახმარებით გაავთრებულმა მტერმა ორი კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ არტილერიისა და ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით ორივეჯერ უკუ ვაქციეთ.

მდ. დვინის ბრძოლის პირზე, დვინსკის პოზიციებზე და უფრო სამხრეთით ალაგ-ალაგ არტილერიის ცეცხლი გაცხოველდა. დვიანზე, ფრიდრიხშტადტის ჩრდილოეთით, ბოიართან, ჩვენმა სუბუქმა არტილერიამ მტრის სუბუქი ბატარეა დააზიანა; გერმანელები ეცადნენ ბატარეის გატანას, მაგრამ ვერ მოახერხეს, შესაბმელად გამზადებული ცხენები მორეკეს და დავხოცეთ, ბინდამდის გერმანელებმა ვერ გაიტანეს ბატარეია. გერმანელებმა კონტრიერიშები მოიტანეს იმ პოზიციების წინააღმდეგ, რომლებიც მათ წავართვით, მაგრამ მოვიგერიეთ; 20 დან 22 თიბათვემდე ჩვენ დავატყვევეთ 74 აფიცერი, 4 ექიმი და 3040-მდე ჯარისკაცი.

კავკასიის ასპარეზი.

პლატანის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა კვლავ წინ წაიწია. პონტის ტავრისა და მდ. ჰოროხის შუა მტრის კონტრიერიშები მოვიგერეთ. მოვიგერეთ აგრეთვე მტრის იერიშები ჰოროხის სამხრეთით, სადაც გამაგრებული გორაკი ავიღეთ. იერიშის დროს ოსმალონი ხმარობდენ ერთგვარ ყუმბარებს, რომელიც სულის შემხუთველ გაზს უშვებდა.

ბაიბურთის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ (?). აქ ხელთ ვიგდეთ მრავალი სასროლი იარაღი, ტყვია, ყუმბარა და სხვა. დიარბექირის მიმართულებით, აღმოსავლეთის ეფრატის ველზე (მურად ჩაი) ჩვენი ჯარი ხიშტებით შეხვდა მტერს, რომელიც წინ მოიწევდა, შორს დასავლეთისაკენ განდევნეს და ასზე მეტი მკვდრის ლეში დაატოვებიეს.

**პარიზი.** 23 ივნისი. შუადღის ოფიციალური ცნობა. სომმის ჩრდილოეთით და მის გაყოლება მიდამოებში მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა ხდებოდა ენიდან ჩრდილოეთით ერთი ვერსის მანძილზე გერმანელებმა ორი პატარა ტყე დაიპყრეს. ფრანგებმა იმავე სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში ერთი ტყე დაიპყრეს. ასპარეზის მომეტებულ ნაწილში ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ფრანგებმა ადვილათ მოიგერიეს გერმანელთა იერიშები ბელუასთან. ფრანგებმა ხელთ იგდეს 76 ზარბაზანი და რამდენიმე ასი ტყვიისმფრქვეველი. მაასის არც ერთ ნაპირზე ქვეითა ჯარის მოქმედება არ ყოფილა. გერმანელები ფრანგების სიმაგრეთა მეორე ხაზს უშენენ შატანკურთან. ცხოველი საარტილერიო ბრძოლაა ფლერი ფიუმენის ტყის მიდამოებში. გერმანელები მკაცრად უშენენ ვერდენის საკრებულო ტაძარს. გერმანელები ცდილობდენ მისთვის მოერტყათ შორსმსროლელი ზარბაზნების ყუმბარები. ფრანგებმა შორსმსროლელი ზარბაზნები დაუშინეს გერმანელთა ტრანსპორტს ბლიე ედიკურთან სენმიჰიელის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ელზასში ბიუნჰაუპტის მიდამოებში ფრანგთა რაზმი შეიჭრა მტრის სანგარში, რომელიც მკვდრებით სავსე აღმოჩნდა.

**ლონდონი.** 23 ივნისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. ბრძოლა გრძელდება მომეტებულ ნაწილად ადგილობრივი ხასიათის შეტაკებანი ხდებიან. ჩვენ არა დაგვიკარგავს რა. დღეს გერმანელთა დანაკლისი ნამეტნავად დიდია. აქამდე ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 6000 მდე კაცი. დანარჩენ ასპარეზზე ჩვეულებრივი სანგრული ბრძოლაა.

**პარიზი.** 22 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. სომმის ჩრდილოეთით ფრანგები წინსვლას ავითარებდენ. ფრანგებმა აიღეს კიურლუს ჩრდილოეთით გორაკი, გერმანელების პირველი ხაზი და მეორე ხაზს შეუტიეს. კლერი, მერიკურის გზაზე სოფ. ეშის აღმოსავლეთით აიღეს ფერმა მონაკაკი, დაატყვევეს 300 ჯარის კაცი და 3 აფიცერი. სომმის სამხრეთით ფრანგებმა მოიგერიეს ესტრეზე მიტანილი გერმანელთა იერიში. ამ სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში მტერს უკავია წისქვილი. ფრანგებს 200 კაცი დაუტყვევებიათ. ესტრისა და ელლეს შემაერთებელი თხრილი ფრანგებს უკავიათ. ამიტომ 10 კილომეტრის სიგრძისმეორე ხაზის პოზიციები ფრანგებმა ჩაიგდეს. ვერდენის ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში დღის განმავლობაში მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა იყო. ლოტარინგიაში სენმარტენთან ლიენვილის აღმოსავლეთით გერმანელებმა იერიში მიიტანეს ფრანგების პოზიციებზე და სამ ნაწილში სანგრები აიღეს, მაგრამ ფრანგებმა კონტრიერიშით დაიბრუნეს ყველა პოზიცია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ვერდენთან გერმანელებმა სასტიკი იერიშები დაიწყეს. 20 ივნისს მათ დაიპყრეს სიმაგრე დანლუ. როგორც იუწყებიან, ვერდენთან ბრძოლა ჯერ კიდევ დიდხანს გასტანსო.

— —

გალიციის მცხოვრებთა შორის რუსების მოახლოვება დიდ შიშს იწვევს. მცხოვრებლები ექიმებისა და ნაფიც ვექილების პირით შეეკითხენ გალიციის მეფის ნაცვალს, თუ როგორია საერთო მდგომარეობა ავსტრიის ჯარისა. მეფის ნაცვალმა ყველას დამშვიდობა ურჩია და აღნიშნა, რომ საქმე ამ ცოტა ხანში გამობრუნდებაო.

— —

ხმა გავრცელდა—ალბანეთში მომქმედი ხევესი ამ დღეებში გალიციას გადმოვა და რუსთა წინსვლის შესაჩერებლად მოქმედებას დაიწყებსო.

— —

ავსტრიის მთავრობამ გალიციის მცხოვრებთ, ვისაც გალიციაში დარჩენა არა სურს, ნება დართო გალიციიდან გავიდეს.

— —

ბარანოვიჩის მიმართულებით ამასწინად რუსის ჯარმა ორი მავთულიანი ხლართი გაარღვია და გერმანელთა თხრილებში შეიჭრა. სამხედრო ავტორიტეტების აზრით, ბარანოვიჩის მნიშვნელობა მეტად დიდია, ვინაიდან ბარანოვიჩი მთლად დაქსელილია რკინის გზებით, რაც ორივე მოწინააღმდეგე მხარეს დიდათ ეპირვება ჯარების ჩქარ გადასაყვან—გადმოსაყვანად. რუსეთის შტაბს იმედი აქვს, რომ ბარანოვიჩს ამ მოკლე ხანში უთუოდ აღებს.

— —

ქვედა ლიპთან გაცხარებული ბრძოლებია. აქ გერმანელები რუსებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ, თუმცა დიდი ზარალი მოსდისთ.

— —

კოლომიის (გალაცია) რაიონში რუსები შეტევას განაგრძობენ. ავსტრიელები სცდილობენ ამ რაიონის უკანასკნელ სიმაგრეებზე შეჩერდენ.

— —

ინგლისის სამეფო კომისიამ ირლანდიელთა აჯანყების მიზეზები გამოარკვია. როგორც იტყობინებიან, აქ აჯანყება უმეტეს ნაწილად მოხელეთა უსამართლოქცევით ყოფილა გამოწვეული.

— —

გერმანული პრესა რუსების გამარჯვებას გალიციის ასპარეზზე იმით ხსნის, რომ ბრუსილოვს მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდაო.

— —

ფრანგმა მეცნიერმა ლუი-მარტუ ლამარტინმა ამასწინად შემდეგი წინასწარმეტყველება დაჰბეჭდა ერთს ფრანგულ ჟურნალში: ტეხნიკა ისე განვითარდება, რომ აწინდელი ომი უფრო უსაზიზღრესსა და უსაშინელეს სახეს მიიღებსო. შავი ზღვა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** პოლესიეს სამხრეთით მდებარე მიდამოებში რუსებმა ხელთ იგდეს ერთი ბატარეა, საერთოდ უკანასკნელ დღეებში რუსებს დარჩათ: მრავალი ტყვე და დიდი სამხედრო დავლა. მდ. დნესტრის სამხრეთ ნაპირზე რუსებმა ავსტრიელებს უკან დაახევინეს. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. გერმანელები აქ ქარიშხალისე'ურ ცეცხლს ავითარებენ.

**კავკასიის ასპარეზი.** პონტის ტავრის მთებსა და მდ. ჭოროხის შუა რუსებმა ოსმალთა კონტრიერიშები მოიგერიეს. ეფრატის ველზე ოსმალნი წინ მოიწევდენ, მაგრამ რუსებმა უკუაქციეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ინგლისელებს დღემდე ტყვეთ წამოუყვანიათ 6000 მდე კაცი. მდ. სომმის ორივე მხარეს ფრანგები ეხლა გერმანელთა მეორე ხაზზე იბრძვიან და ალაგ ალაგ წინ წაიწიეს. ვერდენთან მდგომარეობა გართულდა. გერმანელთა შორს მტყორცნელი ზარბაზნები ახლა ქ. ვერდენის ცენტრს უშენენ. ყუმბარებს უშენენ აგრეთვე ვერდენის საკრებულო ტაძარს.

**იტალიის ასპარეზზე.** იტალიელები ალაგ-ალაგ ტაქტიკურ წინსვლას აწარმოებენ.

სხვა ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

---

რუსეთის პროტექტორატობაში გადავა, სირია და პალესტინა საფრანგეთს დარჩება, მცირე აზია, როდოსი პიროსი, ეგვიპტე და სუეცის არხი—ინგლისს. ადრიატიკის ზღვის გამოსავლები ავსტრიას ლამარტის აგრეთვე უწინასწარმეტყველებია რომ სერბიის მომავალი ბედი და პრუსიის როლი გერმანელთა ხელში იქნებაო.

ლამარტინი თავის წინასწარმეტყველებაში სრულიად სპობს ოსმალეთს, რომლის ნანგრევებზეც, ლამარტინის აზრით, უნდა აღმოცენდეს სლავიანთა დიდი იმპერია.

რუმინიის მთავრობას გადაუწყვეტია, ბუკოვინიდან გამოქცეული მცხოვრებნი უნგრეთს გადაასახლოს.

გერმანული გაზეთები სინანულს გამოსთქვამენ საბერძნეთის საქციელის გამო, რომელმაც ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა ყოველი მოთხოვნილება დააკმაყოფილა. ზოგიერთი გაზეთი მოითხოვს კონსტანტინეს გადადგომას, ზოგი სამხედრო პირთა აჯანყებას და ზოგი კიდევ შეთანხმების მოთხოვნილებათა უარყოფას.

რუსები კოველზე შეტევას აპირებენ.

ინგლისს ნეიტრალ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება აქვს გამართული. რათა ნეიტრალ სახელმწიფოებმა გერმანიას არავითარი სურსათი არ მიაწოდონ. ინგლისი ჰპირდება ნეიტრალ სახელმწიფოებს, რომ ყოველგვარ გასაზიდ საქონელს თვითონ შეიძენს.

საბერძნეთის ლიბერალური პარტია მოითხოვს, რომ პარლამენტი 4 ნოემბრისთვის მოიწვიონ.

ლიბკნეხტის გასამართლების გამო, განოვერში, მაგდებურგსა და ბერლინში მუშებს გაფიცვა გამოუცხადებიათ.

ფინლიანდიის სეიმში არჩევნები დასრულდა. გამარჯვება სოციალ-დემოკრატებს დარჩათ

სტრიპაზე მძიმე ზარბაზნებით ბრძოლა გრძელდება. მდინარის ნაპირები სულერთიანად დანგრეულა.

ჩრდილოეთის ზღვაში გერმანელებისნაღმმა ჰოლანდიის სატრანსპორტო გემი ჩასძირა.

შვეციის მთავრობამ დიდ სახელმწიფოებს შვეციის წყლებში თარეშისა და გემების დაღუპვის გამო, პროტესტი განუცხადა.

ოსმალეთმა ფრაკიის ჯარის სარდლად ნიმიზ-ფაშა დანიშნა.

ბულგარეთ-რუმინიის შორის მოლაპარაკება სწარმოებს, რათა რუმინიამ კვლავ განაგრძოს ბულგარეთისთვის სურსათ-სანოვაგის მოწოდება.

ენვერ ფაშამ ბრძანება გასცა, რომ ყველა მეომრები, რომელნიც ამ ომში ოდნავ უძლურებას და ცუღლუტობას გამოიჩენენ, სასტიკად იქნებიან დასჯილიო.

## სამხედრო მიმოხილვა

**შეტევის სადავე.**

ერთერთ ჩვენს მიმოხილვაში აღვნიშნეთ დიადი ისტორიული მნიშვნელობა ვერდენის ოპერაციისა. მიუხედავათ იმისა, რომ ვერდენს თავის თავად არა აქვს დიდი ფასი და მისი ღირებულება არ აღემატება სხვა, მის მზგავს ციხეების ღირებულებას,— ვერდენის ოპერაციას, ვერდენის გარშემო ცამდის ავარდნილი ბრძოლის კვამლს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა.

ვერდენის ოპერაცია ბევრ სერიოზულ მცოდნეს სამხედრო ხელოვნებისას დღესაც შეუსაბამოდ მიაჩნია და აკვირვებს ის გარემოება, რომ გერმანელები არავითარ დანაკლისს არ ერიდებიან ვერდენთან.

ომის შემდეგ, როცა პირობები გამოიცვლება და შეიძლება დაწყნარებული განხილვა უდიდესი ომის ცალკე ოპერაციების, თითოეულ ეტაპის განხილვა,—სათანადოთ იქნება დაფასებული, აწ ბევრისაგან აბუჩად აგდებული ვერდენის ოპერაცია. მაგრამ ეს თავისთავადაც ცხადი იქნება გამოუკვლევლად, ვინაიდან ომის გათავებისას ნათელი იქნება ვერდენის ბრძოლების ფასი და მისი გადამწყვეტი ხმა.

მხოლოდ ჩვენ ახლაც შეგვიძლია ზოგიერთი ამის ნიშანი დავინახოთ, თუ დაუკვირდებით ოფიციალურ ბიულეტენების მიერ მოკლედ, ლაკონიურად გადმოცემულ ფაქტებს.

გუშინდელმა ფრანგულმა ოფიციალურმა ფურცელმა გვაუწყა გერმანელების მიერ მნიშვნელოვან პუნქტის—ტიომონის—მეოთხედ აღება, ხოლო დღეს იმავე წყაროს ფურცელი გვამცნობს, გერმანელები ეხლა უკვე ვერდენის მეორე ხაზის სიმაგრეებს უშენენ. აღმოსავლეთის მხრით ვერდენს სამი ფორტიღა იცავს, რომელიც საველე სიმაგრეთა დაუხმარებლად ვერაფერს გააწყობს და ადვილი შესაძლებელია გერმანელთა მძიმე არტილერიის ანაწერი გახდეს სულ ცოტა ხანშიაც. გერმანელებს მაასის მარცხენა ნაპირზეც დაუშენიათ ფრანგთა სიმაგრეების მეორე ხაზისათვის.

მაგრამ საქმე მაინცდამაინც იმაში არ არის—ადრე დაეცემა ვერდენი თუ გვიან.

ვერდენი სუსტი მხარეა ფრანგთა სამხედრო მდგომარეობისა და ამასთანავე სახიფათოც.

ერთი თვისება აქვს გერმანელების კვეთებას ვერდენთან. აქ მათი შეტევა დრო და დრო სწარმოებს. ზოგის აზრით, დროებითი შესვენება ვითომდა გამოწვეული იყოს დანაკლისის შევსების საჭიროებითაო მაგრამ ეს შეხედულება გერმანელთა შესაძლებლობისა და ვერდენის მიდამოების სრულ უცოდინარობას მოასწავებს. თანამედროვე ტეხნიკა მოძრაობისა საშუალებას აძლევს მებრძოლ მხარეს შეუჩერებლივ გზავნოს ბრძოლის პირზე დახმარება.

გერმანელთა შეტევის ხამუშხამუშ ხასიათს სხვა უფრო ნამდვილი, რეალური ახსნა აქვს. ამ ოთხი თვის წინად გერმანელების მიზანი ვერდენთან იყო, ფრანგებისთვის წაერთმიათ მომავალ შეტევის უნარი. რამდენად მიაღწიეს ამას გერმანელებმა, ეს ცხადი იქნება მაშინ, როდესაც დათავდება ფრანგთა შეტევის ცდა და გამოაშკარავდება ფრანგთა საომარ საშუალებათა ღირებულება. ერთი კი ეხლავ ცხადია, ფრანგების ჯარი საგრძნობლად არის შესუსტებული და მას არ ძალუძს ორ ადგილზე ერთსა და იმავე დროს შეტევის წარმოება კი არა, არამედ ერთ ერთ ნაწილში სათანადო წინააღმდეგობის გაწევაც კი. ეს ცხადჰყო ფრანგთა შეტევის პირველ კვირამ. იმ დროს, როდესაც ფრანგები სომმის ნაპირზე გერმანელთა პოზიციებს ეკვეთა, სწორედ ამ დროს გერმანელები ვერდენს მიაწვნენ, ტიომონი ერთის იერიშით დაიბრუნეს და ეხლა თვით ქ. ვერდენს უშენენ. ამნაირად, ეხლა ყოველთვის, როდესაც ფრანგები სხვა ასპარეზებით შეუტევენ გერმანელებს, ესენი ვერდენთან ამოძრავდებიან. ამგვარად, ვერდენი ემსგავსება ელექტრონის აღმძვრელ წერტილს.

და მუდამ ვერდენთან შეტევა შეაჩერებს მოწინააღმდეგის მოქმედებას. ვნახოთ რა პასუხს გასცემს ამაზე ფრანგთა მხედრობა.

შვერელი.

## პასუხის მაგიერი

„სახალხო ფურცელს"

ჩვენს გულწრფელ მოწოდებას იმის შესახებ რომ, როგორმე ბოლო მოეღოს ილიას და ვანო მაჩაბლის სახელების გარშემო ატეხილი განგაშს; ჩვენს დიად სურვილს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეულ იქნეს ჩვენი შეცოდებანი ამ ორი დიდი პიროვნების წინაშე და, საზოგადოდ, მოისპოს ერთმანეთის გაბიაბრუება — დამცირება ამ ნიადაგზე, თბილისელი გაზეთი „სახალხო ფურცელი" თავაგდებითა და მასხრულად შეხვდა და „სკანდალებით ლელო გატანა" უწოდა.

მართალი მოგახსენოთ, ჩვენ მეტსაც არ მოველოდით იმ გაზეთისა და ჯგუფისაგან, რომელი გაზეთი და ჯგუფიც მხოლოდ მაჯავრელად გაუჩენია ღმერთს და რომელი გაზეთი და ჯგუფიც თავის ცხვირის იქითა და თავის დაბალ ღირსების „უპირატესობის" მეტს ვერასა ხედავს და ამ ბოლო დროს ხომ მართლა რომ ქუჩურ ბაქიაობისა და კვეხნის ფურცლათა და ჯგუფად გადაიქცა.. მეტსაც ვიტყვით! მხოლოდ ჩვენისთანა გზა აბნეულ ერში თუ შეიძლება „სახალხო ფურცლის" და „ზვირთისებური" ყოყლოჩინობა, თორემ იმ ერს, რომელსაც ნამდვილი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავს, „სახალხო ფურცლისა" და „ზვირთ შემობრუნის" ორიჭოფობა — უდიერობას [illegible] მოუღებდა და გადაჭრით მოსთხოვდა — და ედვათ საზღვარი ფედერალისტურ ლათაიებისათვის!..

ფედერალისტური ეს ლათაიები-კი ახალი ამბავი არ არის! მას შემდეგ, რაც ჯერ „ცნობის ფურცელი" ეს წმინდა ეროვნულ მიმართულების ორგანო „გასოციალისტდა" და ეს-დეკების ჯიბრით ორსკამზე დასკუპდა, მას შემდეგ, რაც ეს გაზეთი უარ და უარ წავიდა, იქცა „სახალხო ფურცლად", იბარტყა „ზვირთ მევობრათ" და სათავეში მოექცენ ისეთი „ლიდერები", რომლებიც ისე იცნობენ ჩვენი ქვეყნის საჭიროებას, როგორც ჩვენ ვიცნობთ მარეხელებს; მას შემდეგ, რაც ჯარი ფედერალისტებისა (რომელიც, მართალი რომ ვსთქვათ არც პირველში იყო მრავალ რიცხოვანი) თოვლივით გადნა და დღეს თითებზე ჩამოითვლება; მას შემდეგ, რაც დასელებმა სოფლებიდან გამოდევნეს ეროვნულ მიმართულების თითო ოროლა მქადაგებელი და თავის მტკიცე ორგანიზაციით მთელი საქართველო „სოციალისტად" გამოაცხადეს,—„სახალხოელებს" თავგზა დაებნათ და იმის მაგივრად, რომ თავგამოდებით დაეცვათ ბურჯი ჩვენის ეროვნებისა—ილია—თითონაც „გასოციალისტდენ" და ამ დიდ მოჭირნახულეს ზურგი შეაქციეს.

ჩვენ ხმა მაღლა ვიძახით, (და ვიძახდით მაშინაც), რომ თუ მაშინდელ „ცნობის ფურცლელებს" და ახლანდელ „სახალხოელელებს" ისევე ერთგულად დაეცვათ ილია, როგორის ერთგულებითაც სდევნიდენ მას „მოგზაური" და ზოგიერთი დასელი, ილიას ბუზსაც ვერავინ აუფრენდა და არ ვჭამდით იმ სირცხვილს, რომელი სირცხვილიც საშვილიშვილოდ თავს დაგვატყდა!.

მაგრამ მაშინ ყველა „სახალხოელი" სოროში ჩაძვრა და დიდ ილიას თავის გამართლების საშუალებაც კი მოუსპო. აი, აქ არის უდიდესი დანაშაული „სახალხოელებისა".

არამც თუ „სოციალისტი სახალხოელები", თვით მაშანდელი ეროვნულ-დემოკრატებიც - კი შიშის ზარმა აიტანა და თუ არა ზოგიერთების დაჟინებითი მოთხოვნა, თვით ილიასეულ „ივერიაშიაც" კი ადგილს არ აძლევდენ ილიას შესანიშნავს, პასუხს: „ ნუ—თუ"?—ს. *)

*) რადგანაც ჩვენი დღევანდელი ახალგაზდობის უმრავლესობა არ იცნობს იმ წერილებს, რომელიც ილიას წინააღმდეგ იბეჭდებოდა „მოგზაურში" და არც იმ პასუხს, რომელიც ილიამ გასცა და რომელი პასუხიც არ დაბეჭდა მაშინდელმა „ცნობის ფურცელმა", ხოლო „ივერია"-მ—კი ბოდიშის მოხდით მოათავსა, ჩვენ ამ დღეებში გადმოვბეჭდავთ **რედ.**

## მსხვილი კაპიტალი და წვრილი კაპიტალი.

ძველი მარქსისტული ეკონომიური თვალთახედვა ახლა აღარავის აღარ უნდა აჯერებდეს და კმაჰყოფდეს. და სხვათა შორის მისი ცალმხრივი შეხედულება მსხვილისა და წვრილი კაპიტალის როლსა და დანიშნულებაზე—უკვე ხრწნის ქმნადობაშია.

მარქსის აზრით მსხვილი კაპიტალი, როგორც მრეწველობის განვითარების შედეგი, პროგრესიული მოვლენაა, წვრილი კაპიტალი კი—ეკონომიურ ჩამორჩენილობას მოასწავებს, და მის პირში „წვრილი ბურჟუა" საგინებელ სიტყვას წარმოადგენდა. ამ ეპიტეტით ნათლავდა ის, მაგალითად, პრუდონსა და მის მიმდევრებს.

მსხვილი კაპიტალი ქმნის საწარმოო იარაღებისა და მუშების ერთად თავმოყრას, ან კონცეტრაციას, ზოგავს მაშასადამე შრომას, ადიდებს, აძლიერებს შრომის მწარმოებელ ძალს, გამოჰყავს მწარმოებელი, მუშა, ბარბაროსული მარტოხელობიდან, კარჩაკეტილობიდან, და ქმნის მას დიდის, შენაწევრებულის მწარმოებელი კოლექტივის წევრად, განვითარებულს, განათლებულ მოქალაქედ და სხ.

წვრილი მწარმოებელი კი განმარტებულია, ბარბაროსია, გაუნათლებელია და, მაშასადამე, როგორც მოქალაქე, ჩამორჩენილია, რეაქციის ბურჯიაო.

ეს არის მოკლედ მარქსის შეხედულება, რომელიც მისმა მიმდევრებმა უკიდურესობამდის განავითარეს.

დაიბადა აზრი: როგორც შინაური ხელოსნობა აღიხოცა და დიდ საქარხნო წარმოებად გადიქცა, აგრეთვე წვრილი მიწის მუშა უნდა აღიხოცოს და დაკუწული მიწათმოქმედების ადგილი ეგრეთწოდებულმა „ლატიფუნდიებმა" უნდა დაიჭირონ, რომელნიც კოლექტიურს, შეერთებულს, კოოპერატიულ მუშაობას შექმნიან, ე. ი. მიწის მუშებს გააპროლეტარებენ და ერთად შეკრებენ, შეანაწევრებენო. ამგვარად იქნა აღსარებული გლეხების გაპროლეტარების აუცილებლობის იდეა.

წაიკითხეთ კაუცკისა, პლეხანოვისა, მასლოვისა და სხ. წერილები ამ საძიებელი საკითხის შესახებ და დარწმუნდებით, რომ თვითეული მათგანი მეტანაკლებად— ამ შეხედულებას იზიარებს.

მაგრამ ცხოვრებამ ამ შეხედულების ცალმხრივობა ცხადჰყო და მარქსისა და მისი მიმდევრების წინასწარმეტყველება არ გაამართლა. ერთი მხრით, წვრილი მწარმოებელნი, ხელოსანი და გლეხი, წარმოების ახალ პირობათ შეურიგდენ და, მეორე მხრით, წვრილ მწარმოებელთა— განსაკუთრებით გლეხთა—მეარსეობა საქარხნო ნაწარმოებთა გასაყიდად და გასანაღდებლად აუცილებელი შეიქნა. ერთი სიტყვით, საქარხნო ნაწარმოებთათვის უმთავრესად გლეხობა წარმოადგენს ბაზარს და, ევროპის გლეხობამ რომ აღარ იკმარა, ინდოეთისა და ჩინეთის გლეხობის მიზიდვასა და მოხმარებას ცდილობენ. მეორე მხრით, აღსარებულია, რომ, მაგალითად, ამერიკის საქარხნო მრეწველობის განვითარება—ამ ქვეყნის მდიდარ მიწისმუშათა კლასის მეარსეობის შედეგია.

ევროპის ეგრეთწოდებული „რევიზიური" ლიტერატურა, რომელმაც მარქსის მოძღვრება კრიტიკის ნესტარით გაჩხრიკა, გაარკვია და ხელახლა შეაფასა, ხსენებული სოციალური ფაქტის შედეგი იყო.

რუსეთში სოციალიზმს რამდენადმე დამოუკიდებელი ისტორია ჰქონდა და ჩერნიშევსკიმ თავისებური უტოპია შექმნა. რაც ოუენი იყო იყო ინგლისისთვის, ფურიე და სენსიმონი საფრანგეთისთვის და კარლ მარქსი გერმანიისთვის, იგივე იყო ჩერნიშევსკი რუსეთისათვის. და, თუ ფურიე და სენსიმონი თავის იმედებს ადამიანის ბუნებაზე ამყარებდენ, კარლ მარქსი კი დიდი მრეწველობის შემაერთებელ ქმნადობასა და ხალხის გაპროლეტარებაზე, ჩერნიშევსკის—სათემო მიწათმფლობელობა („ობშჩინა") მიაჩნდა სოციალიზმის პირველ საფეხურად და ფუძედ. და მისი მიმდევრები, მიხაილოვსკი, ნიკოლაიონი, ვ. ვ. და დღეს ჩერნოვი, მისსავე აზრს თითქმის უცვლელად იზიარებენ.

მაგრამ რუსეთის ხსენებულ ხალხოსნებთან, ან „ნაროდნიკებთან", ერთად ჩვენც აღვიარებთ, რომ გლეხთა უმეტესობის გაპროლეტარება არაოდეს არ მოხდება და, მაშასადამე, მარქსიზმის უმთავრესი დებულება—არ თანაუხმობს მეცნიერებას.

მაშასადამე, ჩვენი შეხედულებით მსხვილსა და წვრილ კაპიტალს თავ-თავისი, საკუთარი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს. და მათი ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირდაპირება—შეუძლებელია.

მსხვილი კაპიტალი მოასწავებს საწარმოო ძალთა განვითარებასა და ახალი სამთამადნო წარმოების ან ახალი ქარხნების შექმნა—ეროვნული სიმდიდრის მომატებას. მრეწველობა სთესავს ფულს, ფული კი საერთაშორისო მყიდველი ძალია. და, ცხადია, სადაც მეტია ეს ეკონომიური ძალი, იქ, საზოგადო კეთილდღეობა მეტია

მრეწველობა, როგორცა ვთქვით, ერთად უყრის თავს ხალხს, შველის, მაშასადამე, ერის შენაწევრებასა და მოქალაქობის განვითარებას.

მრეწველობავე ქმნის ახალს სამიწადმოქმედო იარაღს, გონებრივს ცენტრებსა და სხ.

დასასრულ, მრეწველობა ჰკვებავს და ინახავს მოჭარბებულ მოსახლეობას.. ამ მხრით, თვითეული ახალი ქარხანა— ახალშენის შეძენას უდრის. დიაღ! ერის მოჭარბებულ ნაწილს, რომელიც სამუშაოს ვერა პოულობს და, მაშასადამე, განწირულია აღსახოცავად, ახალი მრეწველობის შექმნით შეუძლია იცოცხლოს და შეემატოს ერს.

მაშ, მრეწველობის მნიშვნელობა დიდი და მრავალფეროვანია.

მაგრამ, მეორე მხრით, წვრილი კაპიტალის განვითარებასაც, თუ მეტი არა, ნაკლები ეროვნული მნიშვნელობა არ აქვს.

მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობისა, მებოსტნეობისა და მეძროხეობის გაუმჯობესება და განვითარება შეინახავს, მაგალითად, ათჯერ მეტ ქართველს, ვიდრე დღევანდელი, განუვითარებელი მეურნეობა ინახავს. ამიტომ, თვითეული ახალი სასარგებლო მცენარის მოშენება, თვითეული გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღის შემოღება და მიწის ხვნის, ბარვის, გასუქების, რწყვის, ნიადაგის დაცვის, გაშრობისა და სს. ახალის, გაუმჯობესებული წესების ხმარება—ერის გამრავლებას, ეროვნულ ძალთა აღორძინებასა და მომატებას მოასწავებს.

იგივე, თუ მეტი არა,—მნიშვნელობა ექნება, მაგალითად, ქართველ მიწისმუშათა განზიდვას, გაცილებას და განთესვას ახლანდელის ეთნოგრაფიული რკალის გარეთ.

განა იმერლების მიერ კაბალის გაშენება ჩვენის ეროვნული ორგანიზმის ზრდასა და განვითარებას არ მოასწავებს?! განა ამგვარ მოძრაობას—მეტი თუ არა—ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე, მაგალითად, რომელისამე ახალი სამრეწველო დარგის შექმნას?! და განა იგივე მნიშვნელობა არ ექნება მაგალითად, ლაზისტანის შემოერთებას რუსეთის იმპერიასთან, ანუ—რაც იგივეა—საქართველოსთან?!

დიაღ! როგორც ინტენსივურის, გაუმჯობესებულის სამეურნეო წესების შემოღება, აგრეთვე სამიწათმოქმედო ახალშენთან განზიდვა, გაფართოება, განთესვა— ეროვნული ორგანიზმის ზრდისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

და რა არის ინტენსივური მეურნეობა, თუ არა წვრილი სამიწათმოქმედო კაპიტალის ზრდა და განვითარება?! მეცნიერებამ უკვე აღიარა წვრილი სამეურნეო

დღეს დროება იცვალა. ქართველი ხალხი—დიად ხალხი, გამოფხიზლდა, მას უნდა გაიგოს ნამდვილი ვითარება ჩვენის წარსულისა და აწმყოსი, ამას მოითხოვენ მოპირდაპირე ჯგუფებიც და, რასაკვირველია, რომ ჩვენც „სამშობლოელებმა“ გადაჭრით მოვითხოვეთ იგი!

რა არის აქ „სასკანდალო?“ მაგრამ სახალხოს სხვა რა დარჩენია, თუ არა ოხუნჯობა! ის ვერც კი მიხვედრილა დიად მნიშვნელობას ამ საქმის გამორკვევისას და ამიტომ იძულებული ვართ უფრო მკაფიოდ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, არა „სახ. ფურცლის“ ხელმძღვანელთა შესასმენად, იგინი თავის დღეში ვერას შეისმენენ—არამედ ახალთაობის საყურადღებოდ.

წარსული საუკუნის ოთხმოცდა ათიან წლებიდან გამოსული დემოკრატიული თაობა მალე ორ ბანაკად გაიყო. ერთი ნაწილი დადგა მარქსისტულ გზაზე, მეორე ნაწილი დარჩა ეროვნულ ნიადაგზე.

პირველმა ნაწილმა შექმნა მტკიცე ორგანიზაცია, მიიმხრო ყველა მაშვრალი და ტვირთ მძიმე, გავიდა სოფლად, ბევრს ისეთ რამეს დაჰპირდა, რომელიც არ შეეფერებოდა გლეხის პოლიტიკურ—ეკონომიურ მდგომარეობას, მაგრამ რაკი ჩვენ გლეხს სიცოცხლე და თავისუფლება სწყურია, გაიტაცა ახალმა ქადაგებამ და მიემხრო ამ დასს.

მეორე ნაწილი ახალგაზდობისა უფრო ქალაქებს ეტანებოდა. იგი იმდენად არ იყო გატაცებული იდეით, (ზოგიერთების გარდა, რასაკვირველია), რამდენათაც სცდილობდა ხელში ჩაეგდო შემოსავლიანი, თუ შემოუსავლიანი ადგილები ეროვნულ დაწესებულებებში და მით გაემაგრებინა თავისი პოზიციები.

ასტყდა დავა ამ ორ ბანაკს შორის.

ქალაქსა თუ სოფლად მომუშავე დასი, გრძნობდა რა ძალას, თანდათან გაბატონდა და ისეთი დირექტივების ძლევა დაიწყო, რომლებიც სულ თუ არა სპობდენ, ძალზე მაინც ჩრდილავდენ ეროვნულ თვით შეგნებას, ხოლო თვით დასი გაითქვიფა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

საქართველო, ქართველი მუშა, ქართველი დასელი, მამული, მამულიშვილობა, სამშობლო, სამშობლოს ინტერესები და ყოველივე ქართველური საქმიანობა ბევრის თვალში სამასხაროდ გადაიქცა..

ყველაზე დიდი საგინებელი სიტყვა შეიქნა სიტყვა „მამულიშვილი!..

მეორე შტოსთვის კი ეროვნული მისწრაფება გახდა მათი მოქმედების ქვა-კუთხედათ, მაგრამ რაკი მტკიცე ორგანიზაცია არა ჰქონდათ. რაკი ერთი-მეორეს ადგილსა და უპირატესობას ედავებოდა, რაკი უმრავლესობა შეადგენდა მოჩინოვნიკე ახალგაზდობას, მოძრაობის დაწყებისას და თვით მოძრაობის დროსაც, უპირატესობა ხალხის ხელმძღვანელობაში დარჩა დასელებს.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! „აი ის ლოზუნგი, რომელმაც გაიტაცა ხალხი საქართველოისა და თუმცა ქართველებს არავითარი „პროლეტარი“—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არა გვყავს—ისეთი „თანხები“ დაულაგეს მაშინდელმა მქადაგებლებმა ჩვენ ხალხს, რომ მეორე შტოის კერძო მოთხოვნილებანი—საქართველოს ავტონომია და ქართველი ხალხის საკუთარ ფეხზე დადგომა ე. ი. ქადაგება ეროვნულ აღორძინებისა, მასხარად გააკეთეს მოწინააღმდეგებმა...

ქართული საქმე და მოძღვრება სამოციან წლებისა ილუპებოდა!..

ყველაზე დიდი წარმომადგენელი ამ მოძღვრებისა იყო ილია—ეს ბუმბერაზი, ეს სალიკლდე, და ტლუ მუხა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოისა.

თავის თავად ცხადია, რომ ახალ მოძღვრებას ეს მუხა ეჩხირებოდა თვალში და სწორეთ ამ მუხაზედაც მიიტანეს სასტიკი და ულმობელი იერიში...

ილიაც მაგრად დაუხვდა, მაგრამ ერთს უბედურ დღეს ბარტყები ულბად ჩამოშორდენ და იმის მაგივრად, რომ როგორც უკვე მოგახსენეთ, მტკიცე ორგანიზაციისათვის მტკიცევე ორგანიზაცია დაეხვედრებინათ, უმრავლესობამ ილიას ბარტყებისამ—თავის თავი „სოციალისტად“ გამოაცხადა და ილიას ზურგი შეაქცია... წარმოიდგინეთ „ეროვნულ-სოციალისტები“ იქამდისაც კი მივიდენ, რომ ილიას წერის საშუალებაც კი არ მისცეს. „არასოციალისტობა არ დაგვწამონო“.

ასე გადაუხადეს ამაგი იმ კაცს, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში ვეფხივით ებრძოდა საქართველოს მტრებს. ამის შემდეგ, ჩვენდათავად, სრულიადაც არ გვიკვირს, რომ ილია მოვკალით, საკვირველი ის იქნებოდა, რომ არ მოგვეკლა. და... თუ მართალს მათქმევინებთ ეს რისხვა ალბად თვით განგებამ მოგვივლინა, რომ ქართველი ხალხი გამორკვეულიყო იმ ბურუსიდან, რომელშიაც იგი ჩავარდა...

და გამოერკვა კიდეც! დღეს ყველა დაკვირვებულისათვის ნათელია ყველა ის უნებლიეთი შეცდომა, ის უკიდურესი თავდავიწყება, ის შეუსაბამო საქციელი ორივე ჯგუფისა, რომელიც მათ მოუვიდათ. მაგრამ ეს ცხადი და თვალსაჩინოა იმათთვის, რომლებიც მაშინ, ამ 10—15 წლის წინად აქტიურ მონაწილეობას იღებდენმა შინ დელ მოძრაობაში და სრულიადაც თვალსაჩინო არ არის იმ ახალგაზდებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ ჯგუფის ფრთებქვეშ შემდეგში გაიზარდენ...

ვისაც ახსოვს ის დღეები და ვინც უკვირდება დღევანდელ დღესაც, ის დაგვეთანხმება, რომ ქართველი ერის ხელმძღვანელი ჯგუფები და ნამეტნავად დასელები ძალზე გამოიცვალენ, შესცვალეს მოქმედების ტაქტიკაც, შესცვალეს ზოგიერთი მუხლები მაშინდელი პროგრამისა და ეროვნულ საკითხს ასე გათიშვით აღარ უყურებენ, მათ ფანატიკოსობას ამ მხრივ თვით ცხოვრებამ მოსწია ყური. მაშასადამე, სამართლიანობა მოითხოვს მეორე დასმაც—ეროვნულმა—თავის გულს დაუხმოს და უფრო სწორი გზა ამოირჩიოს ამა თუ იმ საკითხის განსჯასა და დაფასებაში. მაგრამ აი, აქ იტეხს კისერს ჩვენი „ეროვნულ სოციალისტური“ ჯგუფი, რომელმაც „საქართველოს მოვლა-პატრონობის მონოპოლია“ დაისაკუთრა.

ასეთი ტენდენცია, ე. ი. სურვილი განდიდებისა და ორ სკამზე ჯდომისა ახალი საქმე არ არის. „სახალხოელებს“ ტენდენცია გაყვიზინებისა და ორპოფობისა იმ თავითვე ეტყობოდათ და მიტომაც არის, რომ მას ჩამოშორდა უდიდესი ნაწილი და დაადგა წმინდა ეროვნულ დემოკრატიულ გზას, ამიტომაც არის, რომ დღეს „სახალხოელებმა“ დაიწყეს შეთვისება იმ გლახა მხარეებისა, რომელიც წინად დასელებსა ჰქონდათ, ამიტომაც არის, რომ დღეს ჩვენ „სამშობლოელები“ პირდაპირ ვაყენებთ საკითხს ილიას სახელის გარშემო ვაჭრობის მოსპობის შესახებ. და აქ თუ „სკანდალია“ რამე ისევ „სახალხოელებს“ დაემართებათ. ჩვენ კი გვინდა ბოლო მოეღოს ჩვენი ახალთაობის გალიზიანებას ამ გამოურკვევლობის გამო, ვინაიდგან ამ გამოურკვევლობით უდიერად სარგებლობენ როგორც „დასელები“, ისე „სახალხოელები“.

მათი მიმდევარნი კი—ის ახალგაზდები, რომლებიც ათი წლით დაშორებულნი არიან „მაშინდელ“ ამბებს, ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ და ამ თავპირის მტვრევას ბოლოც არ მოეღება იქამდე, ვიდრე ყველაფერი არ გამოირკვევა და არ დამტკიცდება:

— მართლა ვის, რომელ ჯგუფსა, თუ რომელ პიროვნებას მიუძღვის დანაშაული?

დრო არის, კიდევ ვიმეორებთ, გაიწმინდოს ყველა ჩვენში არსებული პარტია, ჩადგეს იგი თავის იდეურ კალაპოტში და გაიგოს საქართველომ: ვინ როგორ ემსახურება თავის ქვეყანასა და თავის ხალხს. თორემ ის აურზაური, რომელიც დღეს ჩვენში ხდება, ის ორპოფობა, რომელსაც იჩენენ „სახალხოელნი“ და ის კეკემალულობია, რომელსაც ეწევიან ჩვენში არსებულ ჯგუფების ზოგიერთი „მესვეურ“—მიმდევარნი, ხეირს არც შემდეგში დაგვაყრის.

დრო არის ყველას ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი: დასელი იქნება იგი, ფედერალისტი, თუ ნაციონალ-დემოკრატი, ვინაიდგან ბევრი ულირსი ირქმევს ამ სახელს, ბევრიც ბოროტადა ხმარობს ამა თუ იმ იდეას და, ეფარება რა ამ თუ იმ ჯგუფს, ამით უნდა თავისი ქვენა გრძნობანი დაჰფაროს.

აი რა დიდი საქმის გაკეთება გვინდა ჩვენ და თუ ეს „სახალხოელებს“ „სკანდალი“ და „ქუჩური“ ამბები ჰგონიათ, ჩვენ ერთხელ კიდევ თამამად ვეტყვით: დაე, ამ „სკანდალისა“ ეშინოდესთ იმათ, ვისაც თავი ბუმბულში აქვთ წაყოფილი, ჩვენ კი ეს „სკანდალი“ არ გვაშინებს და არც არავის მივცემთ ნებას მოატყუილოს ჩვენი ხალხი და ახალთაობა.

არავის მივცემთ იმის ნებასაც რომ ქართველ მოღვაწეების გარშემო ალქაჯური ორომტრიალი გამართონ ხოლმე თავის ჯგუფური ქინიანობის დასაკმაყოფილებლად...

ჩვენ კიდევ ცოტას მოვითმენთ, ვნახოთ რას იტყვიან ნ. ნიკოლაძის „ღია პასუხის“ შესახებაც და მაშინ უფრო ძალუმად შევუტევთ ნიღაბოსნებს, რომ ერთხელ-და-სამუდამოდ მოისპოს ჯგუფური ვაკხანალია ჯგუფური გაბოროტება.

საქართველოსა და ქართველ ხალხს ეჭირება: პირდაპირობა იდეური ბრძოლა და არა თავის მოამაგეთა სახელით ვაჭრობა.

განა ეს „სკანდალია“, ბატონო სახალხოელნო?

„სკანდალი“ ის არის, რომ აქამდე „ხალხის ხელმძღვანელად“ მიგაჩნიათ თქვენი თავი იმ დროს, როცა ასე შორს გაურბიხართ სინათლესა, სამართლიანობასა და პირდაპირობას!...

ოჯახის უპირატესობა დიდ ლატიფუნდიებზე. უკვე ჯონ სტჲუარტ მილმა შეკრიბა აუარებელი მასალა, რომელიც ცხადჰყოფს წვრილი მეურნის სამაგალითო შრომისმოყვარეობასა და გულმოდგინეობას. კარლ მაქსი ამტკიცებს (იხ. მისი „კაპიტალის“ მესამე ტომი), რომ ლატიფუნდიებზე, დიდ მამულებზე, არა წარმოობს კაცსა და ბუნებას შორის ნივთიერებათა ენერგიული მიმოცვლა და, მაშასადამე, მიწის ნიადაგს სიპოხე, ნაყოფიერება, აკლდება. კროპოტკინი ამტკიცებს, საზოგადოდ, წვრილი მწარმოებლის ტეხნიკური ინიციატივის უნარის უმეტესობას. და მთელი რიგი ახლანდელი ეკონომისტებისა აღიარებს, რომ ინტენსივურის, განვითარებული მეურნეობისათვის წვრილი სამეურნეო წარმოება უკეთეს ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს, ვიდრე წვრილი.

იმავე დროს წვრილი მეურნეობა ქმნის ბაზარს სამრეწველო ცენტრებისა და ქალაქებისათვის.

მართლაც: საფრანგეთისა და ჩრდილოამერიკის შეერთებული შტატების სიმდიდრე—წვრილის, ინტენსივური მეურნეობის შედეგია. საზოგადოდ, ევროპის მრეწველობას ევროპისავე და აზიის წვრილი მეურნეობა უდევს საფუძვლად და, დღეს რომ ევროპის სახელმწიფოები სისხლსა ღვრიან, სწორედ მიტომ, რომ თვითეული მათგანი აზიის წვრილ მეურნეთა შორის ეძებს ბაზარს.

მაშ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა ცალმხრივი კი არ უნდა იყოს და მარტო სამრეწველო კაპიტალის გადმონერგვასა და განვითარებას კი არა, არამედ იმავე დროს წვრილის, ინტენსივურ-მეურნეობის განვითარებასაც უნდა თანშეეწეოდეს და ხელს უწყობდეს, მით უფრო, რომ თვით გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული პირობებიც გვშველიან: ერთი მხრით, ჩვენი ქვეყნის ზომიერი ჰაერი და მთაგორების მარილიანი ნიადაგი საუკეთესო პირობაა მეხილეობისა, მებოსტნეობისა და მერძევეობის განვითარებისათვის და, მეორე მხრით, ჩვენს სამეურნეო ჰირნახულს უზარმაზარი ბაზარი—რუსეთი და მისი სამფლობელოები—უდევს წინ.

ამგვარად ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ უტოპიას, ვითომ ქვეყანა ბოლოსდაბოლოს პროლეტარებად და კაპიტალისტებად განიწვალება, არამედ ვფიქრობთ, რომ ამგვარი ცალმხრივობა და კიდეგანობა არაოდეს არ განხორციელდება და, პირიქით, მსხვილი მრეწველობისა და მეურნეობის გვერდით წვრილი მეურნეობა და მრეწველობაც აყვავდება და გაიფურჩქნება და ორს უკიდურესს პოლუსს—მსხვილ კაპიტალისტსა და პროლეტარს—შორის აუარებელი გარდამავალი მწარმოებელი იქნება.

მაშ ჩვენი ეკონომიური ლოზუნგია: განვითარება ყოველმხრივი: სამრეწველო და სამეურნეო, ექსტენსივური და ინტენსივური, კოლექტიური და ინდივიდუური. მხოლოდ ამგვარი პოლიტიკა იქნება ეროვნულ დემოკრატიული და არა ვიწროპარტიული.

ვასილ წერეთელი.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: 11 ივნისს 1916 წ. ქუთაისსა და რიონს შუა 4 № მატარებელში დამრჩა ფუთა, რომელშიაც იყო შეკრული ქალის ტანისამოსი, ღირებული 160-170 მან. მპოვნელი მიიღებს საჩუქრად 40 მან. ვსთხოვ მნახველს გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: დარკვეთში დათიკო ლოსაბერიძეს.

✦ ბ. ა გარსევანიშვილის ლექცია, რომელიც უნდა წაკითხულიყო ფოთში, სხვადასხვა მიზეზის გამო გადაიდვა. ბ. გარსევანიშვილი გუშინ გაემგზავრა ძველ სენაკს, სადაც ის დღეს წაიკითხავს ლექციას „სოლომონ ლეონიძეზე.

✦ ჰალადიდიდან გვატყობინებენ, რომ წელს მოსავალი ძალიან ნაკლები იქნება.

✦ ბათომის სამხედრო გუბერნატორიატყობინებს ქუთაისის სამიწადმოქმედო გამგეობას განკარგულება მოახდინოს ქალაქის წყალსადენის გარშემო მდებარე ადგილებით არავინ ისარგებლოს, გარდა სამხედრო პირებისა.

✦ ჰოგნარიდან გვატყობინებენ, რომ ხალხი უსიმინდობით დიდ გაჭირვებას განიცდისო. საჭიროა დახმარება.

✦ ზემო ჩიბათის (ოზ. მაზ.) მცხოვრებლები შუამდგომლობენ გუბერნატორთან ნება დართოს ზემო ჩიბათში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის გახსნისა.

✦ ერკეთის საზოგადოება შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება“

✦ ქვედა მამათის საზოგადოების (ოზურგეთის მაზ.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს გახსნან ქვედა მამათის საზოგადოებაში მომხმარებელთა საზოგადოება „დამაკვირდი“.

✦ როგორც გვწერენ, ბაკურიანში გაჩენილა საქონლის ჭირი, და დიდ ზიანს აყენებს მცხოვრებლებს.

✦ ზემო იმერეთიდან გვატყობინებენ, რომ შორაპნის მაზრის მცხოვრებნი უკვე შეუდგენ სამკურნალო მცენარის ძაღლყურძენას შეგროვებასო.

✦ რეგულიატორი და ამიერკავკასიის კავშირი. გუშინ კოოპერაციის რედაქტორმა ბ. ი. გაბილაიამ „თანამედროვე აზრი“-ს რედაქციასა და ამიერკავკასიის კავშირს აცნობა, რომ შიში ნაადრევია, საგუბერნიო კავშირზე ჯერ ლაპარაკიც არ ყოფილა, რაც შეეხება, „რეგულიატორს“, იგი ხელს შეუწყობს თვით კავშირის მოქმედებას. აშკარაა—გაუგებრობა გამოუწვევია კოოპერაციის აღმაშენლობაზე ყალბ წარმოდგენას.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა მთავარმა გამგეობამ შემდეგი ცნობები მიიღო დირექციისაგან: ეგზავნება დირექციას 123, 200 მან ნაცვლათ 166766 მან. 22 კაპ. დღიურის დასარიგებლად 1915 წლის 1 აპრილიდან 1 დეკემბრამდის.

✦ ფქვილი და სოფლის კოოპერაციები. სალხინოსა და ბუგეულის კოოპერატივების წარმომადგენლები იძულებულნი შეიქნენ სამი დღე ეცადათ თვითმართველობის რწმუნებულებისგან შეპირებულ. 8—10 ტომარა ფქვილის მისაღებათ. სასურველია, რომ მომავალში ასეთი მოვლენა არ განმეორდეს, რადგან ამით ზედმეტი ხარჯები აწვება ისედაც სუსტ კოოპერატივებს.

✦ არტელი „შრომის კავშირი“. როგორც ვიცით, ქუთაისის ხელოსანთა შრომის არტელის წესდება დიდი ხანია დამტკიცებულია. ახლა დამაარსებლებმა მისი ორგანიზაცია მიანდვეს „კოოპერაციის“ რედაქტორს ბ. იასონ გაბილაიას. უკანასკნელი მოუწოდებს მოწინავე ხელოსნებს არტელში მონაწილეობის მისაღებათ, რადგან მას დიდი მნიშვნელობა ექნება თვით ხელოსნებისათვის. პირობებისა და წესდების მიღება შესაძლო იქნება „კოოპერაციის“ რედაქციაში 28 ივნისიდან, ყოველ დღე 12—1 საათამდე (თბილისის ქუჩა ვლად. წერეთლის სახლში)

✦ „ლამპარი.“ ბეჭდვითი საქმის მწარმოებელი „ლამპარის“ წესდება, როგორც გავიგეთ, ამ დღეებში დამტკიცდება.

✦ დაარსდა სამეურნეო არტელი, რომლის მიზანია მშრომელთა შეკავშირება, ადგილ მამულის შეძენა, ან იჯარით აღება და შეერთებულის ძალითა და გაუმჯობესებული წესებით საბაღოსნო, საბოსტნო და საერთოდ მეურნეობის წარმოება.

✦ ქ. ბაზარზე სიმინდის ფქვილი იყიდება ფ—3 მან 20 კაპ, სიმინდი ფუთი 2 მან 80 კაპ. ყველი ჩარექი—1 მან.

✦ ხილეულობა: გულაბი მსხალი ფუთი 7 მან. 50 კ. ხოლო უბრალო მსხალი კი 3 მან. 50 კაპ. ატამი ფუთი 5 მან. 20 კ. ქლიავი 2 მან 50 კაპ. თხილი დარჩეული 4 მან, ხოლო დაურჩეველი 2 მან.

✦ დაჯარიმება: გუბერნატორის განკარგულებით, დააჯარიმეს ღვინის გაყალბებისათვის ს. ჩამკვეტაძე და ი. კიკვაძე 25 მანეთით.

✦ თბილისში ჩამოვიდა უფროსი ბოტანიკი იმპერატორის იკადემიისა პროფესორი პ. ნ. კრილოვი ალპის მინდვრების დასათვალიერებლათ ამ დღეებში ბ. კრილოვი ბაკურიანს, გაემგზავრება.

✦ ბაქოში შაქრის დამამზადებელი ქარხნები იკეტება.

✦ ბაქოს ქალაქის გამგეობამ 19 სამზრუნველო კომიტეტი დააარსა სურსათ სანოვაგის საქმის მოსაწესრიგებლათ.

✦ განათლების სამინისტროში იხილავენ საშუალო სასწავლებლების კანონპროექტს. რეალური სასწავლებლები გაუქმებული იქნებიან.

✦ მინისტრთა საბჭოში თათბირია საპოლიციო სამინისტროს ცალკე დაარსების შესახებ. ამ სამინისტროს სათავეში ჩაუდგება რომელიმე გამოჩენილი და დამსახურებული სენატორი.

29 ივნისს დ. კურსებში არჯევანიძის აბანოზე, ახალგაზრდა სცენის-მოყვარეთა მიერ ს. ჩიხლაძის მეთაურობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოადგენენ „ირინეს ბედნიერება“-ს და „უბედურ დღე“ ს.

# რუსეთი.

გლეხების დეპუტატებს სათათბიროში შეუმუშავებიათ პროგრამა, რომელშიაც განხილულია გლეხთა უფლებრივ გათანასწორების საკითხი.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტების ზედამხედველთ მოხსენება შეუდგენიათ სადაც აღნიშნულია, რომ მუშები დიდ ყურადღებას აქცევენ პარტიულ საქმეს და მუშაობის დროს ცუღლუტობენო.

რუსეთის გაზეთები „დენი“ „ბირჟ. ვედ.“ და „რუსკ. სლოვო“ დაჯარიმებულ იქნენ 1000 მან.

ხელმწიფემ კავკასიის მეფის ნაცვალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ყუბანის ოლქისა და ბათალფაშის საპატიო მოქალაქეობა უბოძა.

რუსეთში პრინციპიალურად გადასწყდა ცალკე საპოლიციო სამინისტროს დაარსება. შინაგან სამინისტროსგან გამო ყოფილი იქნება აგრეთვე ჟანდარმთა კორპუსის მართველობა.

შტიურმერისთვის მოხსენება წარუდგენიათ, რომ ქ. პეტროგრადში არსებობს არალეგალური ბეჭდვითი ორგანო, რომელიც პროვინციალურ ორგანოებს გადასხვაფერებულ ცნობებს აწვდის და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებსო.

# საშა ყიფშიძე როგორც მოწაფე.

### (მოგონება).

ეჭვს გარეშეა ის, რომ ძლიერი პიროვნება თვით შექმნის ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს, ამსხვრევს ყოველივე გარეშე უკუღმართობას და მძლე და გამარჯვებული გადის სასურველ ფონს, მაგრამ აუცილებელია ისიც, რომ პირობებსაც დიდი გავლენა აქვს პიროვნებაზე, მის ასეთ თუ ისეთ მომავალ ცხოვრებაზე, მის გონებით და ზნეობით მხარეებზე. მით უმეტეს, თუ ამ გარეშე პირობების ძალა და გავლენა ხანგრძლივია და ძლიერი. ამაზე არის დაფუძნებული თქმულება: „მითხარ სად, ან ვისთან ცხოვრობ და მე გეტყვი შენ ვინ ხარო“. საშა ყიფშიძის ნიჭის სიძლიერე აღფრთოვანებული ლტოლვილება მუშაობაში, დაუღალავი მუყაითობა სკოლაში ყოფნის დროს, მთელი ოთხი წელი, რომელიც ჩვენ ერთად გავატარეთ სემინარიის კედლებში, ცხადათ მეტყველობენ მის ძვირფას თვისებებზე. ის აუტანელი პირობები, რომელშიაც მიდიოდა ჩვენი მოწაფური ცხოვრება ვის არ მოხრიდა წელში, ვის არ გასტეხდა ისე, რომ ვერ შეძლებოდა შემდეგ ატანა მკაცრი ცხოვრების უღლისა. სასტიკი დევნა მოწაფეთა ჟურნალ-გაზეთების კითხვის გამო, დახუთული ატმოსფერა ბურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის შავ დრუბლებს ჰფენდა ჩვენს სულიერსა და ფიზიკურ ძალღონეს; მხოლოდ ძლიერი ბუნების პატრონი, როგორც განსვენებული საშა, გაუმკლავდებოდა, შეებრძოლებოდა დასძლევდა ამ უმგვანო პირობებს და სწორეთ ასეც მოხდა: როდესაც ბევრი მოწაფე სემინარიაშიაც მოკუნტული მონა-მორჩილებაში ქედ დახრილი ატარებდა თავის შავბნელ ცხოვრებას, საშა კლდესავით მტკიცედ იტანდა უთვალავ დაბრკოლებას, ქედს არ უხრიდა უმსგავსო გარეგანს პირობებს და ისე თამამათ და შეუპოვრათ მიდიოდა წინ. უფრო ბეჯითად ეტანებოდა ის და აგრეთვე მისი მსგავსნიც, სემინარიისაგან „აკრძალულ ნაყოფს“. ეს ძლიერნი პირნი და მათ შორის საშა ხომ პირველი იყო, აარსებდენ ჟურნალს, ასეთი ჟურნალი ჩვენ დროს იყო „ნორჩი ტვინი“, მართავდნენ წარმოდგენებს, იღებდენ მონაწილეობას სხვა და სხვა კერძო წრეში, სადაც მიდიოდა საუკეთესო ახალგაზრდობა და ეცნობებოდა ჩვენს მწერლობას კითხვით და ბაასით, დაახლოებულნი იყვნენ საუკეთესო ჩვენს მნათობებთან, იღებდენ მათგან რჩევას და დარიგებას. და უთვალავ ამაში განსვენებული საშა პირველი იყო შვითსა და უსიამოვნებას ის ყოველთვის ერიდებოდა, იყო მშვიდი, ბეჯითი და მუყაითი თავის საქმეში; ანვითარებდა თვის თავს არა მარტო მშრალ სახელმძღვანელოებით, არამედ საუკეთესო და ვრცელ წყაროებით და მით ავითარებდა თავის გონებას; მისი ერთი შეხედვა დაგარწმუნებდათ, რომ ის ძლიერი პიროვნებაა, წინმსვლელი, იმედებით სავსე, ცოცხალი, გულწრფელი, სათნოებიანი მაგრამ ამასთანავე ამაყი და კარგათ შეგნებული თავის ღირსებისა. შევჩერდეთ აქ და გადავიდეთ საშას მოწაფეურ ცხოვრების რამოდენიმე ეპიზოდზე.

საშა მორიგი მოწაფეა. შემოდის ინსპექტორი და ეკითხება: მოწაფენი ყველანი არიან თუ არა?

— დიახ, მიუგებს საშა. ინსპექტორი იწყებს მოწაფეების თვლას და საშას, ჩემს წინ მდგომს, სტოვებს. ის ურისხდება საშას, ერთი აკლიაო; საშა ღიმილით მიუგებს, დიაღ, აკლია იმიტომ, რომ თქვენ მე მოწაფეებში არ მთვლით, მტოვებთ.

კვლავ მიუბრუნდება ინსპექტორი საშას და ეკითხება: ვინ გასტეხა ეს ლამპა, ან რა სიმძიმის უნდა ყოფილიყო ის, რომ ზევიდან (ჭერიდან) ჩამოვარდნილიყო.

მე ლამპა არ ამიწონია, ვინაიდან არ მეგონა თუ ჩამოვარდებოდა და გატყდებოდაო. ხვალ ავწონიებ და მოგახსენებო.

საშა ყოველ საგანში სამაგალითო შეგირდი იყო, მაგრამ თვლა უჭირდა, „ეს ციფრი“ სწორედ ჩემი სასჯელია, იტყოდა ხოლმე განსვენებული ხშირად. რა ვქნა, მე როგორც ქართველს, ბევრი დასათვლელი არა მაქვს რა, მაგრამ რომ იპრიანოს ღმერთმა და ერთს მშვენიერ დღეს სათვლელი გამიჩნდეს რაღა მეშველება, თუ სომეხი არ მივიწვიეო, მაგრამ არა უშავს რა, ვიდრე სათვლელი გამიჩნდებოდეს, მეც თვლას შევისწავლიო, იტყოდა ხოლმე განსვენებული.

ყველაზე უფრო საშას ისტორია უყვარდა და კარგადაც სწავლობდა. ამ საგანში მას მეტოქე არავინ ყავდა. ისტორიაში საშას ერთი ბერძენი ეჯიბრებოდა, მაგრამ პირველობა მაინც საშას დარჩა.

საშა ყოველთვის წყნარი და მშვიდი მოწაფე იყო, მაგრამ უნდა გენახათ როგორ შეიცვლებოდა მაშინ, როცა ვინმე ქართველს აბუჩათ იგდებდა, დასახელებული ბერძენი ხშირად აქებდა ბერძნებს და მათ ამაგს ქართველებზე საშა ყოველთვის პირში ბურთს ჩჩრიდა მას, მოაგონებდა მას თუ ქართველებიც როგორ ეხმარებოდენ ბერძნებს გაჭირვების დროს, მაგ. როგორ იხსნეს ქართველებმა ბერძნები ბარდა სკლიროსისაგან და სხვა, რის შემდეგ ბერძენი ჩაჩუმდებოდა ხოლე.

კარგი სკოლაში, კარგი შეიქნა საშა ცხოვრებაშიაც და ამის შედეგია ძვირფასი მისი ნაშრომი: „მთიულეთი“, „კახეთის აჯანყება“ და სხვა და სხვა მისი ნაწარმოები. ბეჯითად ვიტყვი: რომ ის სკოლისა და ცხოვრების უკეთეს პირობებში ყოფილიყო, ორჯელ მეტ რასმე დაგვიტოვებდა, მაგრამ ის ძვირფასი საგანძური, რაც მან ჩვენ გვიძღვნა, ფასდაუდებელია; ის უკვდავსა ხდის განსვენებულ საშას ჩვენსა და ჩვენი საზოგადოების გულში.

მაშ, საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ძვირფასო ამხანაგო და დაუფასებელო ჩვენო საზოგადო მოღვაწევ, საშა!

დეკ. მ. ც—ელი.

## შაქრის რეკვიზიცია.

ფოთში, ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, მოახდინეს სილა შაქრის რეკვიზიცია ამ შაქრიდან ქუთაისს შეახვედრეს ექვსი ვაგონი (6000 ფუთამდე).

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ეს შაქარი შეუძენია ორ კერძო ვაჭარს, რომლებიც, უეჭველია, ზედმეტ ფასში მიაწვდიან მცხოვრებლებს. ამიტომ საჭიროა თვითმმართველობამ ეს შაქარი მათ ჩამოართვას და გადასცეს კოოპერატივს, საიდანაც ყველა მცხოვრებელი დაკმაყოფილდება შაქრით.

ეს შაქარი რომ კოოპერატივს გადასცენ—გაიყიდება არა უმეტეს 17 კაპიკისა გირვანქა და ეს დიდი შეღავათი იქნება ქუთაისის მცხოვრებლებისათვის. მოუწოდებთ როგორც პრესას, ისე დაწესებულებებს მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში რომ ეს შაქარი გადაეცეს კოოპერატივს, თორემ, ვიმეორებ, თუ იგი კერძო ვაჭრების ხელში დარჩა, მცხოვრებლები შაქარს გაორკეცებულ ფასში შეიძენენ, რაც საზარალო იქნება მომხმარებლებისათვის.

მცხოვრებთაგანი.

## პასუხად ლუარსაბ ბოცვაძეს*).

„სახალხო ფურცლის“ №№ 592, 593, ჩემდა საპასუხოდ მოთავსებულია ლუარსამ ბოცვაძის წერილი: „უმეცრების ამაყობა“. ამ წერილში ბოცვაძე თავისებურად უზრდელად ამტკიცებს ისევ თავისას და სცდილობს უხერხულ მდგომარეობას როგორმე თავი დააღწიოს.

ბოცვაძისათვის ეს ადვილი საქმეა, რადგანაც სიმართლე და სიცრუე მას ერთნაირად სწამს.

გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ I ნაწილში უვარგისი ტერმინებისა და სიტყვების ახსნის შესახებ ჯეროვანი პასუხი გავეცი გაზეთ. „თანამედროვე აზრში“ და ხელმეორედ ლეჭვა ერთისა და იმავესი, როგორც ბოცვაძეა ჩვეული, დროს დაკარგვად მიმაჩნია. რაც შეეხება ყოველივე სიმართლეს მოკლებულს მის ახალ ბრალდებას, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, გავსცე პასუხი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ბოცვაძეზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს.

1) ბოცვაძე უზრდელად განაგრძობს: „თუ სექციის ზოგიერთი წევრის დადგენილებას მე არ დავემორჩილეო“ და სხვა. ტყუილად კი არ ვამბობ, ბოცვაძეს ვერაფრით შევარცხვენ მეთქი!

სექციის წევრები გახლდენ: ზურაბიშვილი, მიქაბერიძე, იაშვილი. ნათაძე, აგრეთვე გ. ბურჭულაძე და თქვენი უმორჩილესი მონა. ყველა ამათ მონაწილეობა მიიღეს და დასტური დასცეს და არა ზოგიერთმა, როგორც ბოცვაძე ამბობს.

ყოველივე ცვლილება ბ. ბურჭულაძის ხელით ჩაწერილია. მაშასადამე, ბოცვაძე ეწინააღმდეგება ყველას დადგენილებას, და არა ზოგისას.

2) ბოცვაძე უზრდელადვე გაიძახის: „იმნაიშვილს ვსთხოვეთ „დედაენის“ I ნაწილის შესწორება და არ შეასწორაო“.

აი, ბატონებო, საქმე როგორ გახლდათ:

წარსულ წელში გამომცემელ სექციის ახალმა თავჯდომარემ თ კიკვაძემ მოსთხოვა მთავარ გამგეობას გამომცემელ სექციის შელახულ უფლებათა აღდგენა. გამგეობამ მაშინვე ჩამოართვა ბოცვაძეს გოგებაშვილის სახელმძღვანელების გამოცემის უფლება და გადასცა გამომცემელ სექციას

ამის შემდეგ ბოცვაძემ სასკოლო სექციაში მუშაობას თითქმის თავი გაანება. ამბობდა: სექციას დავანებებ თავს და გამგეობაში კი დავრჩებიო. ბოცვაძე სასკოლო სექციას არც თავს ანებებდა და არც მუშაობდა წესიერად, რის გამოც მთელამ წელიწადმა უნაყოფოდ ჩაიარა.

ივნისის დამლევს, წარსულ წელში, სასკოლო სექციის ერთ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ: ზურაბიშვილი, მიქაბერიძე, ნათაძე, ბურჭულაძე, და თ. კიკვაძე ბოცვაძემ წინადადება მომცა, ვფიქრობ, უფრო განგებ, რომ I ნაწილი „დედაენა“ შემესწორებსა.

მე ვუპასუხე: აქამდე რომ მოგენდოთ, დიდი სიამით შევასწორებდი და ახლა—ამ პაპანებაში მთლად შესწორება არ შემიძლია და თუ გავყოფთ, ერთს ნაწილს შევასწორებ მეთქი. ვუჩვენე კიდეც, თუ რანაირად უნდა გაგვეყო სულ სამი ნაწილი გახლდათ: ან ბანი; შემდეგი საკითხი მოთხრობები და სურათები—საწერი ნიმუშები გ. ბურჯანაძემ ბრძანა: ამ სამში რომელსაც მომცემთ, ავიღებ და შევასწორებო. ერთ ნაწილს მე ვღებულობდი და ერთიც ბოცვაძეს უნდა აეღო. მაგრამ ლუარსაბმა ცივი უარი განაცხადა და საქმე ჩაიფუშა. ჩვენ წავედ-წამოვედით და წიგნი დღესაც შეუსწორებელია. მსურდა შრომის განაწილება და არა ის აბდა-უბდა, რასაც ბოცვაძე ედება. მოწმენი ბრძანდებიან ყველა ზემორე დასახელებულნი ალბად ამას ეძახის ბოცვაძე „დისონანს“, რადგანაც თავის ნებაზე არ ვახტუნეთ.

3. ბოცვაძე ამბობს: იმნაიშვილს ყველაზე მეტი „დისონანსი“ შეჰქონდა სასკოლო სექციის მუშაობაშიო...

სასკოლო სექციის სხდომაზე ვერც ერთი დამსწრეთაგანი ვერ იტყვის, რომ მე ცუდი რამე შემეტანოს მუშაობაში. სამი წლის განმავლობაში ნუ თუ ვერავინ შემანჩნია?

აი, ბატონებო, რაშია საქმე:

მე ყოველთვის ვთხოულობდი ხოლმე ყოველივე კითხვის კარგად გამორკვევას და ხმის უმეტესობით გადაწყვეტას და მიფუჩეჩების უფლებას არ ვაძლევდი, რაც გულს უკლავდა ბოცვაძეს.

ბოცვაძეს, სხვათა შორის, ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა, სხდომაზე დაყენებულ საკითხის გადაწყვეტამდე რეზოლიუციას უკვე შეიტანდა ხოლმე ოქმში და ძალა-უნებურად მეცა და სხვებიც ხშირად ვუსაყვედურებდით ბევრთაგან ერთი მაგალითი: ზუგდიდის განყოფილების ძლიერ საჭირო თხოვნას ვარჩევდით. განყოფილება თხოულობდა შემწეობას მასწავლებელთათვის საზაფხულოდ ქართული ენის კურსების მოსაწყობად. სასკოლო სექციის წევრებმა ვსთხოვეთ ბოცვაძეს (რადგანაც თვითონ მდივნობასაც ასრულებდა), საკითხის საბოლოოდ გამორკვევამდე რეზოლიუცია ოქმში არ შეეტანა. ჯერ საკითხი ხმის უმეტესობით გადაწყვეტილი არც-კი გახლდათ, რომ ბოცვაძემ უკვე ოქმში შეტანილი რეზოლიუცია წაგვიკითხა: „უარი ეთქვასო“. ის თქვენ მტერს, რაც მას დღე დავაყენეთ მეც და სხვებმაც.

ალბად, ამას ეძახის ბოცვაძე „დისონანს“, რადგანაც თავის ნებაზე არ ვახტუნეთ.

4) ბოცვაძე იმავე უზრდელი კილოთი განაგრძობს: განსვენებულის გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გაუმჯობესების შესახებ თუ რა გაკეთებულა დღემდის, ამის უტყუარ საბუთებს ამასთანავე ვაახლებ პატივცემულ რედაქციას. ეს ბოცვაძის ყოყოჩანობა აშკარად ამტკიცებს მის თავდაუჭერლობას.

გოგებაშვილის სახელმძღვანელოები არის: „რუსკოე სლოვო“, „დედა ენა“ და „ბუნების კარი. „რუსკოე სლოვო“ იმდენად ცუდად შესწორებულია, რომ სერიოზულ შესწორებას თხოულობს; დედა ენის არც ერთი ნაწილი ქრისტიან ქართველთათვის და ბუნების კარი არავის გაუსწორებია ავტორის სიკვდილის შემდეგ.

გოგებაშვილის ქართული სახელმძღვანელოები რომ სრულიად გაუსწორებელია და რუსკოე სლოვოც, რომელსაც გასწორებულად სთვლის ბოცვაძე, ძირითად შესწორებას საჭიროებს, ამას სხვათაშორის ამტკიცებს მოთხოვნა (9, 11 და 12 ივნისის სხდომაზედ) როგორც წერა-კითხვის სკოლების, ისე სხვა მასწავლებლებისა დასახელებულ წიგნების შესწორების შესახებ.

ახლა ვკითხოთ ბ-ნ ბოცვაძეს, რა უტყუარი საბუთი აახლა მან რედაქციას გოგებაშვილის სახელმძღვანელოს გაუმჯობესების შესახებ! მოგახსენებთ, არავითარი, გარდა ტყუილის. გოგებაშვილის ყველა სახელმძღვანელო უნდა შესწორდეს. თუმცა საქველმოქმედო საზოგადოებამ I ნაწილი დედაენისა ვითომდა შეასწორებინა, მაგრამ 9 ივნისს მასწავლებლებმა თავისს კრებაზე მოითხოვეს მისი ხელახლა შესწორება და შევსება, რაც შეუსწორებლობას ამტკიცებს.

5) სასკოლო და საგამომცემლო სექციათა ერთს კრებაზე დაგვესწრნენ ბ. ბ. ოცხელი და ჯაფარიძე, ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელნი; ისინი თხოულობდენ გამოსაცემად სახელმძღვანელოების დათმობას; კამათის დროს ბ. კ ნინიძემ—საგამომცემლო სექციის თავჯდომარემ, განუცხადა სტუმრებს: გამგეობამ ბოცვაძეს მიანდო გოგებ. სახელმძღვანელოების მოვლა—პატრონობა და სექციასთან რაგინდათ, ძახ მიმართეთო. ბ. ოცხელმა შენიშნა: „თუ ასე იყო საქმე, აქ რაღათ მოგვიწვიეთო“. ბოცვაძე თავისებურათ გაიძახის: ამის მსგავსი ნინიძეს კრებაზე არა განუცხადებიაო. რომ ბოცვაძე სტყუის, ამას დაამტკიცებს ყველა იქ დამსწრე პირებთაგანი.

ამ რამდენიმე კვირის წინად ბ. დ. კარიჭაშვილის, ვართაგავას, თ. კიკვაძის შეკითხვაზე საზოგადოების კანცელარიაში ეს „ფაქტი“ აღდგენილ იქნა.

(დასასრული იქნება.)

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სიმართლის აღსადგენად. რედ.

## შემოწირულება.

ქუთ. ღარიბ ბავშთა დამხმარე საზოგადოების მიერ გამართულ სეირნობისა.

(დასასრული იხილე „სამშ.“ № 387)

### ნივთები შემოსწირეს ლოტარეისთვის.

მ. ჩიკვაიძემ, კნ. ელ მიქელაძემ, კნ. ევ. მიქელაძემ, მ ნასარიძემ, ნ. ჯორჯიკიამ, ა. აბულაძემ, ალ. ასათიანმა, ელ. მეფისაშვილისამ, პ. ნაზაროვისამ, ე. გამრეკელმა, ნ. პეტრიაშვილმა, ნ ფილიპოვისამ, ტ ნოვიცკისამ, მ. ბაგრამოვისამ, ელ. ხოჯევანიშვილმა ც. გაბუნიამ, მ ქუთათელაძემ, ვ. ალშიბაიამ, კნ. ვ. ერისთავისამ, ი. კემულარიამ, ნ. ჩხატარიშვილმა და მ. გველესიანმა.

ღარიბ ბავშთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა უგულითადეს მადლობას სწირავს ყველა შემომწირველს და იმ პირთ, რომელთაც პირადი შრომითა და დახმარებით ხელი შეუწყვეს სეირნობის გამართვაში.

საჩაე სტოლებისა და ვახშმის მოწყობაში თავისივე საშუალებით: ს. ბაქრაძეს, გ. უიფიანს, ნ. წერეთელს, ა. კერესელიძეს, კნ. ტ. ყიფიანისას, ვ. ალშიბაიას, უგან. თავად. გ. ბაგრატიონს, ს ჯაყელს, ნ. მხეიძეს, ტ. მაჭარაშვილს. მ. ჭილაძეს, მ. ანჯაფარიძეს, კნ. მ. ერისთავისას, ე. გამრეკელს, კნ. ო. წულუკიძისას, ნ. ბადრიძისას, ნ მთავრიშვილისას, ნ. ფანცხავასას, ე. ბარათაშვილისას, კნ. ა. ჩიქოვანისას, ნ. ფილიპოვს, მ. ც. და ბ. მოშიაშვილებს, ო. გეგეჭკორისას, მ. თაყაიშვილისას, ნ. კვიცარიძისას, ე. მეძმარიაშვილისას, ტ. ტუსკიასას, ბ. ბახტაძეს, ვ. კოსტავასას, კნ. ნ. დადიანისას, კნ. ა. მიქელაძისას, გ. ართმელაძეს, კნ. ნ. გურიელისას, ვ. ანანიკოვისას, კნ ტ წულუკიძისას, კნ. ვ. დადიანისას, ტ. მაჭავარიანისას, კნ. ა ანანიევისას, კნ ვ. ერისთავისას, კნ. ს. წერეთლისას, ლ. გამრეკელს, კნ. კ წულუკიძისას, ვ ანჯაფარიძეს, მ. ჩიკვაიძეს, კნ. ნ. პ. დადიანისას, ლ. ქელბაქიანისას, ვ. ჭიჭინაძისას, კნ. ტ. კაჭახიძისას, მ. [illegible]ლისას, გ. დათეშიძისას, ე. მეფისაშვილისას, ა. შარაბიძეს, მ კერესელიძეს, ვ. გრიგოლიასას, ნ. ხელთუფ[illegible], [illegible]კის, ე. ნიკოლაძის, [illegible], მ. გველესიანისას, [illegible], ვოლსკისას, ე. წერეთელ-დემულონისას, ე. გონიევისას, მ. ბექაიასას, ა. და ლ. ლუკიანენკოს, ა. ნეინბურგს, ლ. ბ. მახარაძეს, ვ. ჟდენტის, გ. რთინიშვილის, ი. დობროსმისლოვს, ა. ტიჩნიასას, ს. კვიცარიძეს და გ. დორთქიფანიძეს, რომელმაც შესწირა საზოგადოებას ნარგები სამოვარი და ხელი შეუწყო სეირნობის წარმატებას; ბ. ბ. კომანდირებს 110, 115 და 123 სათადარიგო ბათალიონებისას და ყველას, რომელთაც ხელი შეუწყო სეირნობის გამართვა-მოწყობაში.

გამგეობა.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“




### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 | წ. |
| „ | — სალამ. | — 8 ს. 55 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 45 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 31 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 55 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. 5 | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 30 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 | „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 | წ. |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. 25 | „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

## გრანული ექ. გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვლს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაკტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაკტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.